


შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning
mechanism, methodology and target benchmarks

წინასიტყვაობა

1. შემუშავებულია – საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანის გურამ ქათამაძის, პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსის თემურ დევას და სამეურნეო განყოფილების უფროსის ირაკლი გოგიტიძის მიერ;
2. დამტკიცებულია – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის რექტორის მიერ (2020 წლის 28 ივლისის სენატის სხდომის დადგენილება, ოქმი N16);
3. მოქმედებაშია – დამტკიცების დღიდან;
4. პერიოდული შემოწმება – წარმოებს შემუშავებლის მხრიდან არაუმეტეს 12 თვის ინტერვალისა;
5. ცვლილებები – ცვლილებათა შეტანა წარმოებს იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა დოკუმენტი. ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის ინიციატივის საფუძველზე, სენატის გადაწყვეტილებით;
6. წინამდებარე ნორმატიული დოკუმენტი ძალას კარგავს ახალი ვერსიის დამტკიცების შემთხვევაში.




უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning
mechanism, methodology and target benchmarks

შინაარსი

1. გავრცელების სფერო	5
2. ნორმატიული მითითებები	5
3. ტერმინები, შემოკლებები, განმარტებები	5
4. ზოგადი დებულება	6
5. სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენის განხილვა და ანალიზი	6
6. შეფარდება სემესტრების მიხედვით	8
7. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმისა და მეთოდოლოგიის კუთხით 2015 წლიდან 2020 წლის ჩათვლით განხორციელებული ცვლილებები	9
8. სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმისა და მეთოდოლოგიის მიმართულებით სასწავლებლის 2019-2025 წლების ხედვა	9
9. პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია	9
10. კონფიდენციალურობა	10
11. პერიოდული შემოწმების ფურცელი	11
12. გაცნობის ფურცელი	12
13. შეთანხმების ფურცელი	14



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning mechanism,
methodology and target benchmarks

1. გავრცელების სფერო

- 1) წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს ბუხსს ანრის უმაღლესი (ბაკალავრიატი და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმს, მეთოდოლოგიას და სამიზნე ნიშნულებს.
- 2) წინამდებარე დოკუმენტი არის საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის და პროფესიული განათლების დეპარტამენტის ნორმატიული დოკუმენტი;
- 3) დოკუმენტის აღივსებული ვერსია ინახებაპს შპს ბუხსს ანრის ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახურში მყარი და ელ. ვერსიით; სასწავლო განყოფილება-საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტზე ელ.ვერსიით. ელექტრონული ვერსია ასევე განთავსებულია სასწავლებლის შიდა ქსელში და ვებ-გვერდზე.
- 4) დოკუმენტის აღივსებული ეგზემპლარის დაგზავნას აწარმოებს ხარისხის განვითარების და უზრუნველყოფის სამსახური.

2. ნორმატიული მითითებები


2.1 წინამდებარე დოკუმენტის შემშავებისას გათვალისწინებულია შემდეგი ნორმატიული აქტების მოთხოვნები:

- 1) ISO 9001:2015 - ხარისხის მართვის სისტემა. მოთხოვნები;
- 2) ISO 9000:2015 - ხარისხის მენეჯმენტის (მართვის) სისტემა. ძირითადი დებულებები და ლექსიკონი;
- 3) საქართველოს კანონი "უმაღლესი განათლების შესახებ";
- 4) საქართველოს კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“;
- 5) საქართველოს კანონი მეზღვაურთა მომზადებისა და დიპლომირების შესახებ;
- 6) განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება – „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“;
- 7) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების 25-ე მუხლის მე-4 პუნქტი.
- 8) უსად-ს და პსდ-ს ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტები;
- 9) ნდ №2-010101 - წესდება;
- 10) ნდ N2-020101 –ხარისხის სახელმძღვანელო;
- 11) ნდ 2-0201-01- „დოკუმენტებისა და მონაცემების მართვის პროცედურა“

3. ტერმინები, განმარტებები, შემოკლებები

3.1 ტერმინები, განმარტებები

- 1) რექტორი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელი
- 2) სტუდენტი – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის პროგრამა(ებ)ზე;
- 3) პროფესიული სტუდენტი - პირი, რომელიც „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამა(ებ)ზე;
- 4) სენატი –ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების**

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning mechanism, methodology and target benchmarks

- 5) **შემოწმება** - ობიექტური მტკიცებულებითა და ექსპერტიზის გზით დადგენილი მოთხოვნების შესრულების დადასტურება წერილობით;
- 6) **ცვლილება** - ნორმატიული დოკუმენტის ცალკეული ფრაგმენტის მოდიფიკაცია (დამატება, შეკვეცა ან შეცვლა);
- 7) **შიდა ნორმატიულ დოკუმენტი** - შიდა მარეგულირებელი აქტი

3.2 შემოკლებები

- 1) **ბუსსს ანრი (სასწავლებელი)** – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი;
- 2) **ISO** - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია
- 3) **ნდ** - ნორმატიული დოკუმენტი
- 4) **უსდ** - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- 5) **პსდ** - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება
- 6) **ხარისხის სამსახური** - ბუსსს ანრის ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახური

4. ზოგადი დებულება


- 1) წინამდებარე წესი განსაზღვრავს ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და განსაზღვრის მეთოდურ საფუძვლებს.
- 2) თითოეულ პროგრამაზე სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისთვის მნიშვნელოვანია შემდეგი პარამეტრები:
 - ✓ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა არსებული რაოდენობა;
 - ✓ დამამთავრებელი სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების რაოდენობა;
 - ✓ მისაღები სტუდენტების/პროფესიული სტუდენტების რაოდენობა;
 - ✓ პროგრამიდან განთესვა (სტუდენტის/პროფესიული სტუდენტის გასვლა პროგრამიდან სტატუსის შეჩერების,
 - ✓ შეწყვეტის ან სხვა პროგრამაზე/უნივერსიტეტში მობილობის წესით გადასვლის გამო);
- 3) სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის განმსაზღვრელი კრიტერიუმებია:
 - ✓ ადამიანური (აკადემიური) რესურსი;
 - ✓ მატერიალური რესურსი;
 - ✓ საინფორმაციო რესურსი;
 - ✓ ფინანსური რესურსი.

5. სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენის განხილვა და ანალიზი

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის თითოეულ სტუდენტს/ პროფესიულ სტუდენტს უნდა მიეცეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. ამისათვის, სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობის დადგენისას, გათვალისწინებულია ყველა ის რესურსი, რომლის მოზიდვა და მობილიზება შეუძლია სასწავლებელს არსებული რეზერვის გათვალისწინებით. ამ მიზნით, სასწავლებელში ხორციელდება სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობაზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენის განხილვა და ანალიზი.

➤ **ფართი**

პირველი ასეთი რესურსი არის ფართი



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების**

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning mechanism, methodology and target benchmarks


ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის სასწავლო პროცესის წარმართვისთვის გამოყენებაში გააჩნია 4466 კვ.მ. ფართი, აქედან საერთო სასწავლო ფართი შეადგენს 1988 კვ.მ.-ს (44,5%), სასწავლო-სამგზავრო გემი 319 კვ.მ.-ს (7,1%), საერთო დამხმარე ფართი შეადგენს 1213 კვ.მ.-ს (27,2%). სასწავლებელს კიდევ რჩება განვითარებისთვის 946 კვ.მ.(21,2%). სასწავლებლის სააუდიტორიო ფონდის დღის ნებისმიერ დროს ერთდროული სიმძლავრე შეადგენს 1000 სტუდენტ-ადგილს. აქედან:

- ✓ 23 % არის საშუალოდ 27-52 კაციან აუდიტორიაში, სადაც ძირითადად ტარდება ლექციები
- ✓ 35 % არის საშუალოდ 20-კაციან აუდიტორიაში, სადაც ძირითადად ტარდება სემინარები
- ✓ 42% არის საშუალოდ 10-20-კაციან აუდიტორიაში, სადაც ძირითადად ტარდება ლაბორატორიები და ენის მეცადინეობები.

ამავე დროს, სასწავლებლის განკარგულებაში მყოფი აუტიდოტერიების:

- ✓ 16% არის სალექციო აუდიტორია 36 და მეტი სტუდენტისთვის
- ✓ 8% არის სალექციო აუდიტორია 27 სტუდენტისთვის
- ✓ 34% არის სასემინარო აუდიტორია 20 სტუდენტისთვის
- ✓ 42 % არის სასწავლო ლაბორატორია/სიმულატორი 10-20 სტუდენტისთვის

ეს მაჩვენებელი მეტყველებს იმაზე, რომ სასწავლებელში მუშაობა ძირითად მცირე ჯგუფებში მიმდინარეობს, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახება სტუდენტების სწავლის შედეგებზე. სააუდიტორო ფონდის ოპტიმალური გამოყენების მიზნით, სასწავლო პროცესი სასწავლებელში მიმდინარეობს 9 საათის განმავლობაში, რაც ნიშნავს, თეორიულად, სასწავლებლის სააუდიტორო ფონდს დღის განმავლობაში შეუძლია „გაატაროს“ 9000 (1000*9) სტუდენტი. „საზღვაო ნავიგაციის“ სპეციალობის სტუდენტები V სემესტრში, ხოლო „გემის მექანიკის“ სპეციალობის სტუდენტები VI სემესტრში იმყოფებიან სავალდებულო სასწავლო-საცურაო პრაქტიკაზე შორეულ ნაოსნობაში, ან პროგრამების მოთხოვნათა გათვალისწინებით სასწავლო გემ „კაპიტნო. ჩახვაძე“-ზე და სავაჭრო ნავსადგურის გემებზე. სტატისტიკურად წინა და მიმდინარე სასწავლო წელს სააუდიტორო ფონდის გამოყენება შეადგენს საშუალოდ 57,58%, ხოლო პიკური გამოყენება შეადგენს 72,69%-ს. სასწავლებლის პოლიტიკაა, ფართის გამოყენებისას, ცვალებადობის გათვალისწინებით, მინიმუმ 18,6%-იანი რეზერვი რჩებოდეს. გამოცდილებისა და საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით, რათა თითოეულ სტუდენტს მიეცეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, 1 სტუდენტზე გათვალისწინებული უნდა იყოს არა ნაკლებ 2 კვ.მ. ფართი. საერთო ფართის თვალსაზრისით, ამ შეზღუდვების და დათქმების გათვალისწინებით, სასწავლებლის სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა უნდა განისაზღვროს 1200 სტუდენტით (2000*1,2/2). პროფესორ-მასწავლებლები სტუდენტთა კონტინგენტის განსასაზღვრად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს იმ პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა, რომლებიც ჩართულნი არიან სასწავლო პროცესში. 2020 წლის სექტემბრისთვის მდგომარეობით სასწავლებელში დასაქმებულია 4 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი, 6 ასისტენტ-პროფესორი, 74 ლექტორი. სულ პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობა არის 88. ხარისხიანი სასწავლო პროცესის წარმართვისთვის უნივერსიტეტის ხედვაა, რომ ერთ 1 აკადემიურ პერსონალზე (პროფესორზე/ასოცირებულ პროფესორზე/ასისტენტ-პროფესორზე) უნდა მოდიოდეს არა უმეტეს 40 სტუდენტისა; ხოლო 1 პროფესორ-მასწავლებელზე უნდა მოდიოდეს არაუმეტეს 20 სტუდენტისა. ეს ბოლო მაჩვენებელი წარმოადგენს ერთგვარ საერთაშორისო ბენჩმარკს (<http://oedb.org/rankings/student-faculty-ratio/>). რაც უფრო დაბალია შეფარდება სტუდენტებისა და ლექტორების რაოდენობებს შორის, მით უფრო შესაძლებელია, მათ ჰქონდეთ მჭიდრო ურთიერთობა, სტუდენტი უფრო სწრაფად და ამომწურავად იღებდეს კომენტარებს საკუთარ დავალებებთან დაკავშირებით და აქტიურად მონაწილეობდეს სემინარებსა და დისკუსიებში. პროფესორ-მასწავლებლების ფაქტორის ანალიზის დროს უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ სასწავლებლის განკარგულებაში მყოფი აუდიტორიების:



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების**

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning mechanism, methodology and target benchmarks

- ✓ 21% არის სალექციო აუდიტორია 36 და მეტი სტუდენტისთვის
- ✓ 37% არის სასემინარო აუდიტორია 20 სტუდენტისთვის
- ✓ 42% არის მცირე აუდიტორია 10-20 სტუდენტისთვის (ლაბორატორიები)
- ✓ 36 სტუდენტისათვის მცურავი საშუალებები (სასწავლო გემი)

პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობის, პროფილისა და ზემოთ დადგენილ ნორმების გათვალისწინებით, სტუდენტების რაოდენობა უნდა შეადგენდეს:

- ✓ $(4+5)*40=360$
- ✓ $(4+5+6)*40=600$
- ✓ $(4+5+6+74)*20=1780$

ამ სამი რაოდენობის საშუალო არის 913 სტუდენტი.

აუდიტორიების ტიპებისა და მათი სიმძლავრეების, სალექციო და სასემინარო აუდიტორიების 9 საათის განმავლობაში გამოყენების და, აქედან გამომდინარე, ლექტორის ტიპებზე მოთხოვნის გათვალისწინებით, სტუდენტების რაოდენობა უნდა შეადგენდეს:

- ✓ $88*24\%*36*1.2= 912$
- ✓ $88*34\%*20*1,2= 718$
- ✓ $88*42\%*20= 789$

ამ სამი რაოდენობის საშუალო არის 789 სტუდენტი.

საბოლოოდ, ამ ორი კუთხით დათვლილი სტუდენტების რაოდენობა (907 და 789) საშუალო 851-ს შეადგენს. გათვლების შედეგად, პროფესორ-მასწავლებლების რაოდენობის, პროფილის, სიმძლავრის გამოყენების, ზრდის და სასწავლებლის ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით, სტუდენტთა კონტინგენტის რაოდენობა შეიძლება შეადგინოს 840 სტუდენტი. თუმცა სტუდენტთა კონტინგენტის დადგენაზე გავლენას ახდენს მთელი რიგი ფაქტორებიც.

6. შეფარდება სემესტრების მიხედვით

კიდევ ერთი ფაქტორი, რომლის გათვალისწინება ხდება სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას, არის სწავლების სხვადასხვა სემესტრზე მყოფი უმაღლესი და პროფესიული სტუდენტების რაოდენობის შეფარდება. სასწავლებელს შეუძლია ხარისხიანი განათლება შესთავაზოს ერთდროულად 840 სტუდენტს საიდანაც: დაახლოებით 52% ბაკალავრიატზე, და 48% პროფესიულ პროგრამებზე მოდიოდეს.

თუმცა ყოველწლიურად **საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრისას** ხდება რამდენიმე დამატებითი ფაქტორის გათვალისწინება:

❖ ფაქტორი 1


პროგრამის შესაბამისი ბაზრის კვლევის ანალიზი, რომლის მიზანი არის პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის შეფასება. (62 კურსდამთავრებულიდან სპეციალობით დასაქმებულია 57)

❖ ფაქტორი 2

პროგრამაზე მისაღები კონტინგენტის განსაზღვრისას ხდება გასული წლების დასაქმების დონის ანალიზი, რაც პროფესიით საშუალოდ 78,3%-ს შეადგენს. შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებისას ხდება საპროგნოზო მაჩვენებლის გათვალისწინება.

❖ ფაქტორი 3

ხდება გასულ წლებში აბიტურიენტების რეგისტრაციისას პირველი არჩევანის კონკურსის ანალიზი. 2020 წელს ეს მაჩვენებელი მთლიანად სასწავლებლისათვის შეადგენდა 22-ს და ჩაირიცხა 3 სტუდენტი.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების**

სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning mechanism, methodology and target benchmarks

❖ ფაქტორი 4

ხდება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებული საშუალო საკონკურსო ქულის ანალიზი. სასწავლებლის მიზანია ამ ქულის გაუმჯობესება არა მხოლოდ თითოეული პროგრამისთვის, არამედ მთლიანად სასწავლებლისათვის. ამ მაჩვენებლით სასწავლებელი ბოლო 3 წლის განმავლობაში (საზღვაო სასწავლებლებს შორის) არის 3 ადგილზე. 2020 წლის ჩარიცხვისას ეს მაჩვენებელი შეადგენდა 4896 ქულას. ხორციელდება ერთი ადგილით მომატების ზღვრული ანალიზი, ბოლო ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მსგავს პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტების საკონკურსო ქულების გათვალისწინებით.

❖ ფაქტორი 5

ხორციელდება შიდა მობილობის შედეგების ანალიზი. სტატისტიკურად, პირველკურსზე მიღებული სტუდენტების 0,5% იყენებს შიდა მობილობის პროცესს პროგრამის შეცვლის მიზნით. თუ ეს მაჩვენებელი 10%-ზე ნაკლებია, ითვლება, რომ მისაღები სტუდენტების რაოდენობის შეცვლის მიზნით არ არსებობს, რადგან მობილობის მოცემული მაჩვენებელი შესაძლებელია განპირობებული იყოს პირველი კურსის სტუდენტების მიერ მომავალი პროფესიის უკეთ აღქმით და გადაწყვეტილების ცვლილებით.

❖ ფაქტორი 6

პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრისას ხდება შეფასება, თუ რამდენად გამოიწვევს სტუდენტთა კონკრეტული რაოდენობით მომატება აკადემიური ჯგუფების რაოდენობის გაზრდას როგორც ზოგადად სასწავლებლის ისე სპეციალობის საგნებში. ამ გადაწყვეტილებამ შეიძლება გაზარდოს პროგრამის ხარჯები ან მოზიდული აკადემიური რესურსის დატვირთვა.

7. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმისა და მეთოდოლოგიის კუთხით 2015 წლიდან 2020 წლის ჩათვლით განხორციელებული ცვლილებები

ამ პერიოდში სტუდენტთა კონტიგენტის დადგენა სასწავლებლის ავტორიზაციის დროს განისაზღვრებოდა. თუ სასწავლებლის კონტიგენტის რაოდენობის გაზრდა სურდა, საჭირო იყო აღნიშნულის თაობაზე განცხადების შესაბამის ორგანოში შეტანა. ამჟამად, სასწავლებელი თავად შეიმუშავებს სტუდენტთა კონტიგენტის დადგენის მეთოდოლოგიას.

2015-2020 წლებში სასწავლებლის სტუდენტთა საერთო რაოდენობა თითქმის 474%-ით გაიზარდა. სტუდენტთა საერთო რაოდენობა 2015 წელს შეადგენდა 42 სტუდენტს, ხოლო 2020 წლის სექტემბრის მდგომარეობით 241 სტუდენტს (პროფესიული პროგრამის სტუდენტების გარეშე).

8. სტუდენტთა, პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმისა და მეთოდოლოგიის მიმართულებით სასწავლებლის 2019-2025 წლების ხედვა


მომდევნო შვიდი წლის განმავლობაში სასწავლებელში არ იგეგმება სტუდენტთა კონტიგენტის ნახტომისებური ზრდა. ასევე მნიშვნელოვანია, არსებული თანაფარდობის შენარჩუნება, რაც მართვის ეფექტიანობასა და ფინანსურ სტაბილურობას უზრუნველყოფს.

9. პროფესიულ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

9.1 პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“

„საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- ა) A - გარემო



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები**

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning mechanism, methodology and target benchmarks

- ბ) B - გარემო
- გ) C - გარემო

ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროგრამის მიზნებისათვის აქვს A, B, C გარემო, სადაც განთავსებულია როგორც A ($5 \times 39,68 + 2 \times 55,8 + 1 \times 93 = 403 \text{ მ}^2$) და B ($2 \times 39,68 = 79,36 \text{ მ}^2$) გარემოს მოთხოვნების შესაბამისი აღჭურვილობა, ასევე სასწავლო გემი, გემის რეალური ტრენაჟორი, სამაშველო ნავი და ტივი, ხმელეთზე განლაგებული ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, სანავიგაციო ხიდურის სიმულატორი. სასწავლო გემის შესაბამისად და ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით „საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროგრამის რესურსი შეადგენს ერთ მიღებაზე 100, ხოლო ორ მიღებაზე 200 პროფესიულ სტუდენტს;

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსი:

პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გემის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში არ აღემატება კვირაში 32-36 საათს.

9.2 პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამა „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“

„გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- ა) A - გარემო
- ბ) B - გარემო
- გ) C - გარემო


ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრის „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროგრამის მიზნებისათვის აქვს A, B, C გარემო, სადაც განთავსებულია როგორც A ($6 \times 39,68 + 1 \times 55,8 + 1 \times 93386,88 \text{ მ}^2$) და B ($2 \times 39,68 = 79,36 \text{ მ}^2$) გარემოს მოთხოვნების შესაბამისი აღჭურვილობა, ასევე სასწავლო გემი, გემის სამანქანე განყოფილების ტრენაჟორი, სამაშველო ნავი და ტივი, ხმელეთზე განლაგებული ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, სახელოსნოები. სასწავლო გემის შესაბამისად და ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით „გემის სამანქანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროგრამის რესურსი შეადგენს ერთ მიღებაზე 100, ხოლო ორ მიღებაზე 200 პროფესიულ სტუდენტს;

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რესურსი:

პროფესიული განათლების მასწავლებლის დატვირთვის გაანგარიშებისას გათვალისწინებულია, რომ ის გარდა საკონტაქტო საათებისა მონაწილეობს სხვა სამუშაოების შესრულებაშიც (მოდულის ადაპტირება, შეფასების ინსტრუმენტების შექმნა, ვერიფიკაცია, სტუდენტთა ნაშრომების გასწორება, შეფასების პროცესი, პროფესიული განვითარება, მონაწილეობა სამუშაო და ადმინისტრაციულ შეხვედრებში). ამიტომაც მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გემის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში არ აღემატება კვირაში 32-36 საათს.

10. კონფიდენციალობა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ბუსსს ანრის შიდა ნორმატიულ დოკუმენტს და არ ექვემდებარება მესამე მხარისთვის წარდგენას, გარდა აუდიტორებისა შიდა, გარე და ინსპექციური შემოწმების დროს.



**შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი**

**უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები**

**Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning mechanism,
methodology and target benchmarks**

12. გაცნობის ფურცელი

№	სახელი, გავრი	თანამდებობა	გაცნობის ვადა	გაცნობის თარიღი	ხელმოწერა
1	ნინო ნაკაშიძე	კანცელარიის უფროსი	03.08.2020		
2	ჟუჟუნა დიასამიძე	ბიბლიოთეკარი	03.08.2020		
3	მალვინა ურუშაძე	ბიბლიოთეკის გამგე	03.08.2020		
4	სოფიკო მამულაძე	ბუღალტერი	03.08.2020		
5	ნათია დიასამიძე	სტუდ.ურთიერთობის მენეჯერი	03.08.2020		
6	ირაკლი ბეჟინძე	პედაგოგი	03.08.2020		
7	ფირუზა ვარშანიძე	პედაგოგი	03.08.2020		
8	ბადრი გიორგაძე	პედაგოგი	03.08.2020		
9	აკაკი ესენჯია	პედაგოგი	03.08.2020		
10	მირანდა ჭინკაძე	პედაგოგი	03.08.2020		
11	ნანა მალაყმაძე	პედაგოგი	03.08.2020		
12	ნათელა დუმბაძე	პედაგოგი	03.08.2020		
13	ბადრი ბერიძე	პედაგოგი	03.08.2020		
14	რეზო ბერიძე	პედაგოგი	03.08.2020		
15	თემურაზ შამილაძე	პედაგოგი	03.08.2020		
16	ამირან ფუტყარაძე	პედაგოგი	03.08.2020		
17	თამარ გუჩმაძე	პედაგოგი	03.08.2020		
18	დარეჯან ასამბაძე	პედაგოგი	03.08.2020		
19	ანზორ შარაშიძე	პედაგოგი	03.08.2020		
20	გიორგი უღრელიძე	პედაგოგი	03.08.2020		
21	მაია დავითიანი	პედაგოგი	03.08.2020		
22	გენადი შერვაშიძე	პედაგოგი	03.08.2020		
23	ნინო ჯაყელი	პედაგოგი	03.08.2020		
24	ფადიკო აბუსელიძე	პედაგოგი	03.08.2020		
25	დავით ჩხეიძე	პედაგოგი	03.08.2020		
26	ნოდარ აბუსელიძე	პედაგოგი	03.08.2020		
27	ალექსანდრე სურმაძე	პედაგოგი	03.08.2020		
28	ნათელა ბალაძე	პედაგოგი	03.08.2020		
29	ალეკო ბარამიძე	პედაგოგი	03.08.2020		



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ბათუმის უმაღლესი საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი ანრი

უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური
საგანმანათლებლო პროგრამების

სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning mechanism,
methodology and target benchmarks

13. შეთანხმების ფურცელი

ნაწილი 1. დოკუმენტის იდენტიფიკაცია, შემთანხმებელი პირების დანიშვნა

1.1 შეთანხმებული დოკუმენტის დასახელება, №

უმაღლესი (ბაკალავრიატი) და პროფესიული მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და სამიზნე ნიშნულები

Higher (Bachelor) and Vocational Modular Educational Programs' Students contingent planning mechanism,
methodology and target benchmarks

ნდ N-2-0401-14

1.2 შემუშავებაზე პასუხისმგებელი პირი:

საზღვაო საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი გურამ ქათამაძე
პროფესიული განათლების დეპარტამენტის უფროსი თემურ დევაძე
სამეურნეო განყოფილების უფროსი ირაკლი გოგიტიძე

1.3 შემსრულებელი _____ \ _____ \
_____ \ _____ \
_____ \ _____ \

ნაწილი 2.

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

№	შემთანხმებლის თანამდებობა	ხელმოწერა	შეთანხმების რიცხვი	შეთანხმების დრო	შენიშვნა
1	ხარისხის განვითარებისა და უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი				
2	პრორექტორი ბადრი დოლონაძე				
3	განათლების ხარისხის სპეციალისტი ლია ფარტენაძე				

დოკუმენტი შესათანხმებლად გააგზავნა _____

ხელმოწერა

სახელი, გვარი

თარიღი